საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #18

2023წ. 21 თებერვალი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ბ.ჯიმელი სულაშვილი, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და მოადგილე ლევან მიქავა.

ქ. თბილისის მერიის სსპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს №12-03230451-03 -14.02.2023)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N23.187.204 განკარგულება
3. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერა (საკრებულოსN:12-032304884-03 17.02.2023წ.)

1. **მოისმინეს:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შესახებ საკითხი მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარადგინა. მისი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2023 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (137 794,2 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 142 794,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 774 926,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. მათ შორის: თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები – 500,0 ათასი ლარით გაიზარდა.

გარდა ამისა, ბიუჯეტის მარეგულირებელ ნორმებს დაემატა 30-ე მუხლი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციებისა და დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 637 132,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 577 032,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

- ✓ გადასახადები 872 224,4 ათასი ლარი;
- ✓ გრანტები 474 962,8 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები 229 845,4 ათასი ლარი;

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 774 926,8 ათასი ლარით, მათ შორის:

- ✓ ხარჯები განსაზღვრულია - 1 310 124,8 ათასი ლარი;
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა – 422 586,5 ათასი ლარი;
- ✓ ვალდებულებების კლება – 42 215,5 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 266 907,8 ათასი ლარით.
არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 362 586,5 ათას ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა – 422 586,5 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება – 60 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (137 894,2) ათას ლარს, მათ შორის:

- ✓ ფინანსური აქტივების კლება – 137 894,2 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 137 794,2 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (42 215,5) ათას ლარს, რაც მთლიანად ვალდებულებების კლებაა.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (95 678,7) ათასი ლარით.

2. მოისმინეს:

ქ. თბილისის მერიის სსპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ წარმოადგინა პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N23.187.204 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირთათვის, ამავე დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონებების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ამავე განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

კერძოდ, იმ პირებს (11 პირს) რომელთაც ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებული გადაწყვეტილებებით, გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070)/კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007)/კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034)/კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37 (ს/კ 01.19.39.009.092)-ში (ე.წ. - წითელი აგურების კორპუსები) აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები, საკუთრებაში გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები, წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ბინების სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ ისინი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე მათთვის მიკუთვნებულ ფართებზე მოთხოვნის უფლებას უსასყიდლოდ დაუთმობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ასევე, უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ამასთანავე, უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებით მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.

აღსანიშნავია, რომ გადასაცემი ფართები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სხვადასხვა კომპანიების მიერ, განაშენიანების

ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების გამო მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების სანაცვლოდ.

3. მოისმინეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა წარმოადგინა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ფიზიკური პირის ირაკლი ნიკოლაიშვილის (პ/ნ 01030011710), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სოლუმ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405148086), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „აა2“-ის (ს/ნ 405141537), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „აა2“-ის (ს/ნ 405141537), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და იბა „ც. დადიანი 2012“ -ის (ს/ნ: 202466848), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და იბა „ც. დადიანი 2012“ -ის (ს/ნ: 202466848), მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. N18-ში (ს/კ N01.10.18.006.221 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ბ.ა ,,ვაშლიჯვარის“ (ს/ნ 205394633), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „კარკასის“ (ს/კ 430029015) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე, შემდეგი შინაარსით:

დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში ზემოაღმინიშნული კომპანიების მიმართ ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები და მშენებლობის განაშენიანების კოეფიციენტის ინდივიდუალური მომატება.

სხდომა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს: ბ.ჯიმელი სულაშვილი, გ.შარაშიძე, ა.ხუჯაძე

მოწვეულმა სტუმრებმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ საკითხები შეაფასა დადებითად (1 და 3 საკითხი -- თავი შეიკავა ბ.ჯიმელი სულაშვილი) და მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე